საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 8 24 00021481

01/08/2024

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და მისგან გამომდინარე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონების პროექტები ასახული არ ყოფილა საქართველოს პარლამენტის 2024 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში.

კანონპროექტების არაგეგმიურად წარმოდგენის აუცილებლობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ხე-ტყით უკანონოდ სარგებლობის მიმართულებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოვლენილი ფაქტების რაოდენობა (ხე-ტყის უკანონო დამზადება და არარეგისტრირებული სახერხი საამქროები) კვლავ საკმაოდ მაღალ ნიშნულზეა. შესაბამისად, შემაკავებელი ეფექტის მისაღწევად საჭიროა პასუხისმგებლობის გამკაცრება, როგორც სახერხ საამქროებთან, ასევე, ხე-ტყის უკანონოდ დამზადებასთან მიმართებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ წარმოდგენილი დასაბუთება.

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

ვახტანგ ბაჩიაშვილი

საქართველო, 0114 თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
7 INGOROKVA STR. TBILISI, 0114, GEORGIA

ტელ/TEL: (+995 32) 2990900
WWW.GOV.GE